H-F-H
History-Film-History

1930-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა რეჟიმმა ცენტრალიზაციისა და ტოტალური კონტროლისთვის ნიადაგი მოამზადა სახელმწიფო მართვის სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ ინსტიტუციებში. 1936 წლიდან კი საბჭოთა წყობისადმი მტრულად ან არალოიალურად განწყობილ მოქალაქეთა მასობრივი რეპრესიები დაიწყო.

იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ჩარჩოს შესაქმნელად რეჟიმმა გამოიყენა 1934 წელს კომპარტიის ერთ-ერთი ლიდერის - სერგეი კიროვის, დიდი ალბათობით ყოფით ნიადაგზე, მკვლელობის ფაქტი, რაც "კონტრრევოლუციური" შეთქმულების და საბჭოთა სახელმწიფოზე ტერორისტული თავდასხმის აქტად გამოაცხადა. ამ პერიოდში დაიწყო საკანონმდებლო ჩარჩოების და სამართლებრივი პროცედურების მომზადება, გამარტივება და მომავალი დიდი წმენდისათვის მორგება.

ამავდროულად, 1936 წელს სსრკ-ში ახალი კონსტიტუცია დამტკიცდა, სადაც ეწერა, რომ საბჭოთა სახელმწიფოში - სოციალიზმი მიღწეული იყო, სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები კი გარანტირებული. ამის პარალელეურად ყველა რესპუბლიკისთვის მუშავდებოდა დეტალური გეგმა დასაპატიმრებელი და გასანადგურებელი კონტიგენტის რაოდენობებით - ლიმიტებით და მასობრივი დახვრეტების გეგმიურად და საიდუმლოდ ჩატარების ინსტრუქციებით.

პირველ ჯერზე, 1936 წლის ბოლოდან, კომპარტიის მაღალ ეშელონებში დაიწყო ოპოზიციური ძალების ნაშთების წმენდა; პარალელურად დარტყმის სამიზნედ იქცნენ ანტისაბჭოთა მოძრაობის ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი წარმომადგენლები, ხოლო 1937 წლის ზაფხულიდან კი

რეჟიმმა დაიწყო მასშტაბური წმენდის ოპერაციები - სოფლად, გლეხობაში, წითელ არმიაში, პარტიის რიგებსა და ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში.

რეჟიმი გამარტივებული, კონვეიერული წესით განსაზღვრავდა მსხვერპლთა ბედს. რეპრესიების კამპანიაში ჩართული იყო თითქმის ყველა სასამართლო და ძალოვანი ორგანო - უმაღლესი და ადგილობრივი სასამართლოები, არმიისა და "შინსახკომის" (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) ჯარების ტრიბუნალები და ყველაზე მასშტაბურად ე.წ. "ტროიკა"- შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან (შინსახკომი) არსებული განსაკუთრებული სამეული.

მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზემოქმედებისთვის 1936-1938 წლების განმავლობაში მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების უმრავლესობაში ჩატარდა "საჩვენებელი პროცესები", სადაც სახელმწიფო ბრალდება ამტკიცებდა ბრალდებულთა - მაღალი რანგის პარტიული ნომენკლატურის თუ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მიერ "კონტრევოლუციური შეთქმულების" ორგანიზებას, უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ ჯაშუშობას, "მავნებლობას", საბოტაჟს, ტერორისტული აქტების განხორციელება-დაგეგმვას და ა.შ. რეპრესიული მანქანის მიერ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად განადგურებული ადამიანები ამ საჩვენებელ სასამართლოზე "გულწრფელად აღიარებდნენ" დანაშაულს და პატიებას ითხოვდნენ. პარალელურად, რეჟიმი აორგანიზებდა "მშრომელთა კოლექტივების" და მოქალაქეთა დემოსნტრაციებსა და პეტიციებს ბრალდებულთა დაუნდობლად დასჯისა და განადგურების მოთხოვნით. საჩვენებელ სასამართლოზე გაყვანილთა დახვრეტის შესახებ ინფორმაციაც საჯაროდ გადაიცემოდა რადიოში და იბეჭდებოდა პრესაში.

დაპატიმრებულთა უმრავლესობის ბედს არასასამართლო წესით "ტროიკა" წყვეტდა - ბრალდებულის დასწრების, დაცვის და გასაჩივრების უფლების გარეშე. გამოძიებისას, აღიარების მისაღწევად, ფართოდ მიღებული და ოფიციალურად დაშვებული იყო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, წამების მრავალფეროვანი და არაადამიანური მეთოდები.

“ტროიკის” განაჩენი 99 %-ის შემთხვევაში სტანდარტული იყო - დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით ან 10 წლით გადასახლება “გულაგში” - იძულებითი შრომის ბანაკების ქსელში, რომელიც მთელი საბჭოეთის სივრცეზე, განსაკუთრებით ციმბირში, შუა აზიაში, უკიდურეს ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში იყო კონცენტრირებული. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მოჰყავდათ სისრულეში, სტანდარტულად იმავე ღამეს, ან რამდენიმე დღის ვადაში. სიკვდილით დასჯის მასობრიობის დასაფარად, რეჟიმის გადაწყვეტილებით, ოჯახის წევრებს ეძლეოდათ ზეპირი ცნობა, რომ პატიმარი “გადასახლებული იყო 10 წლით, მკაცრი იზოლაციით - მიმოწერის უფლების გარეშე”. მომდევნო წლების განმავლობაში სისტემა იღებდა და ისაკუთრებდა “გადასახლებულად” გამოცხადებული და ამ დროს უკვე დახვრეტილი ადამიანებისთვის განკუთვნილ ამანათებსა და ფულს. ამ პერიოდში არსებობდა “სპეცვაჭრობის” დახურული ქსელი, სადაც პარტიული ნომენკლატურა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლები სიმბლოლურ ფასად ინაწილებდნენ დაპატიმრებულთა და დასჯილთა კონფისკაციის შედეგად ჩამორთმეულ ქონებას.

დიდი ტერორის მსხვერპლითა წევრთა ოჯახის წევრების მიმართ რეჟიმი ასევე დამატებით რეპრესიებს მიმარათავდა - “დანაშაულის შეუტყობინებლობის” მუხლით მასობრივად აპატიმრებდნენ დახვრეტილი და გადასახლებული პირების მეუღლეებსაც. “გულაგში” - “ხალხის მტრის ოჯახის წევრი” ქალებისთვის ცალკე სპეციალური ბანაკები იყო მოწყობილი. რეპრესირებული მშობლების ობლად დარჩენილი ბავშვები კი სპეციალურ “ბავშვთა სახლებში” გადაჰყავდათ, რომლებიც ფაქტორბივად, ასევე, იზოლირებულ კოლონიებს წარმოადგენდნენ.

საქართველოს სსრ-ში მსხვერპლთა რაოდენობამ - 20-25 000 ადამიანს მიაღწია. მათი ნახევარზე მეტი - დახვრიტეს, დარჩენილი ნაწილი კი 8-10 წლით გადაასახლეს “გულაგის” სისტემაში. ტოტალურმა დაპატიმრებებმა და განადგურებამ, საყოველთაო შიშმა და უნდობლობამ დიდი კოლექტიური ტრავმა მიაყენა საზოგადოებას, თუმცა მკაცრი რეალობა მომავალ - არნახულ გლობალურ კატასტროფას ამზადებდა მეორე მსოფლიო ომის სახით.

1930-იან წლებში საბჭოთა საქართველოში განხორციელებული „წითელი ტერორი“ აღწერა თენგიზ აბულაძემ ფილმში „მონანიება“, რომელიც 1984 წელს შეიქმნა და 80-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენად იქცა. ფილმმა 1987 წელს კანის საერთაშორისი კინოფესტივალის ჟიურის დიდი პრიზი დაიმსახურა.

ფილმში მოქმედება საბჭოთა საქართველოში იწყება და ავტორი, მისთვის დამახასიათებელი პოეტური სტილით 1930-იანი წლების „დიდი ტერორის“ წლებს აცოცხლებს. საბჭოთა ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელე ვარლამ არავიძე 1930-იან წლებში რეპრესიების წნეხის ქვეშ ამყოფებს და სასიკვდილოდ სწირავს უდანაშაულო ხალხს. წლების შემდეგ მის მიერ განადგურებული ოჯახის შვილი ქეთევან ბარათელი შურისძიებას გადაწყვეტს და მკვდარ ვარლამს საფლავიდან ამოთხრის. სასამართლო პროცესზე ახალგაზრდა ქალი ვარლამის ბნელ წარსულს ხდის ფარდას. წინაპრის მიერ განვლილი, ცოდვებით დამძიმებული გზის გააზრება არავიძის შვილიშვილს, თორნიკეს, მამასთან მწვავე კონფლიქტამდე მიიყვანს. სასოწარკვეთილი ახალგაზრდა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავს და თავს იკლავს. ფილმში, ვარლამის შვილიშვილის თორნიკეს როლს თავდაპირველად მსახიობი გეგა კობახიძე ასრულდება, რომელიც „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმის გამო, დაპატიმრების შემდეგ, მერაბ ნინიძემ ჩაანაცვლა.
„მონანიების“ გადაღებას უამრავი სირთულე ახლდა თან. ფილმის სცენარზე მუშაობა თენგიზ აბულაძემ ჯერ კიდევ 1981 წელს დაიწყო, სცენარი ორი წლის განმავლობაში იქმნებოდა, გადაღებები 1984 წელს დასრულდა, თუმცა მაყურებელმა იგი 1986 წელს იხილა. ცნობილი ფაქტია, რომ თენგიზ აბულაძემ კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის დახმარებით შეძლო მასშტაბური კინოსურათის კონსპირაციულად, სატელევიზიო ფილმის სახელით, შექმნა თბილისსა და ბათუმში და შემდეგ მისივე რჩევით რამდენიმე წელი განზრახ „შემოდეს თაროზე“.
საბჭოთა კავშირში მცხოვრები ადამიანებისთვის, რომელთა წინაპრებიც 1930-იანი წლების სისხლიან ტერორს შეეწირნენ, ფილმი მტკივნეული და ემოციური აღმოჩნდა. რეჟისორის მიზანი იყო წარსულის „გადააზრება“, მსახიობ ავთო მახარაძის ეკრანული სახე-ვარლამ არავიძე, ტირანიისა და

ბოროტების განზოგადებულ კრებით სახედ იქცა, რომელშიც თანაბარი წარმატებით ამოიკითხავთ სტალინს, ბერიას, ჰიტლერს, მუსოლინის....

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA